თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7080474

ნომერი: AR11040898

თარიღი : 07.06.2024

გაცემის თარიღი : 13.06.2024

გაცნობის თარიღი : 13.06.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბარბარე ბაირამაშვილის ქუჩა, N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ია ჩეხერია პ/ნ 01017025224
- შევჩენკოს #5

ორგანიზაცია:
- სითილოფტი კოდი: 404909934

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია სათამაშო და სპორტული მოედნის მოწყობა (მაყურებელთა ტრიბუნებისა და მათი ინფრასტრუქტურის გარეშე)

ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:
თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და კერძოდ საპროექტო ადგილას დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება შიდა კვარტალური გამწვანება. აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურის მიერ აღნიშნული საკითხი 27.05.2024წ. N 60-01241481283 წერილით გადაგზავნილი იყო გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, რომლის პასუხის მიხედვით მოთხოვნილ სამუშაოებზე მოგეწერათ უარი. (იხ. დანართი).
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს აღნიშნული განცხადება და დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.